

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №5

ქ. თბილისი

22.03.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -
საბჭო) წევრები:

თამარ ქიტიაშვილი - გაეროს განვითარების პროგრამის მრჩეველი პროფესიული
განათლების საკითხებში, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);

ლელა მაისურაძე - პროფესიული განათლების დამოუკიდებელი კონსულტანტი, საბჭოს
მდივანი;

ანასტასია ქიტიაშვილი - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს პროექტის
"პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების
პოლიტიკის ექსპერტი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;

თამარ კაკუტია - სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული
ტესტირების კოორდინატორი;

ვახტანგ ჭარაია - ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-
პრეზიდენტი;

გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების მართვის
დეპარატმენტის უფროსი;

ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის
აღმასრულებელი დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი;

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
მონიტორინგის კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
კოორდინატორი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" წარმომადგენლები:
გივი ღვანია - დირექტორის მოადგილე
ეკატერინე ფოჩხუა- ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისწარმომადგენელი:

თეა ოსეფაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წარმომადგენლები:

ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორის მ/შ

თამარ გიორგობიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ წარმომადგენლები:

დავით უგულავა - დირექტორის მოადგილე

ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსის“ წარმომადგენლები:

რუსულან ჩართოლანი - დირექტორი

ლია ვაშაკაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის“ წარმომადგენლები:

კარლო კერვალიშვილი - დირექტორი

მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:

ირმა ლომაია - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

მარიამ წივწივაძე - იურისტი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიის“ წარმომადგენლები:

ანა ცუცქირიძე - დირექტორის მ/შ

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ წარმომადგენელი:

ლაშა ხახუტაიშვილი - დირექტორი

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წარმომადგენლები:

აბდულ კახიძე - რექტორის მოადგილე

გოჩა გოგიშვიძე - პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის წარმომადგენლები:
გიორგი ბერიძე - მასწავლებელი
კახაბერ ხეხელაშვილი - მასწავლებელი
ნინო ხვედელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
დარეჯან ბეგიაშვილი - დირექტორი

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის წარმომადგენლები:
მანანა მოისწრაფიშვილი - დირექტორი
ირმა არსენაშვილი - სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი
შოთა მარგიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ბექა ბუიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი დიმიტრი ლომიძე - ფაკულტეტის დეკანი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები
(შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ხაჩიძე;
ქეთევან გელაშვილი;
თამარ წასყიდაშვილი;
ლევან მადათოვი;
ზაირა ბერიძე;
თამარ რემიშვილი;
ნინო ძაგანია;
ინგა ბაქრაძე;
შორენა ჯაფარიძე;
ნია გუგუნავა;
ნაზო წიბლიაშვილი;
ვარლამ ავალიშვილი;
ია გიგიშერია;
შორენა ხუბუნაია;
ტიტე ბოლქვაძე;
ევგენი გუგულაშვილი
ციური დურული.

სხვა დამსწრე პირები:

3

დანიელ დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:50 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ლანა გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №193 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
3. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №134 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

14. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
15. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
17. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
18. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
19. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
20. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკურად გამორჩენილია და შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს დაემატოს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.




საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო გაეცნო რა დღის წესრიგში შეტანილ მასალებს, გამოარკვია, რომ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღას“ შემოტანილი აქვს განაცხადი მოკლე ციკლის პროგრამის დამატების მიზნით. აღნიშნა, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, სამინისტროს გააჩნია ვალდებულება შეიმუშაოს მოკლე ციკლის პროგრამებზე ჩარიცხვის წესი, ვინაიდან ეს წესი ჯერჯერობით არ არის მზად, და ასევე, სამინისტროს მიერ, დონორის მხარდაჭერით, შემუშავებისა და განხილვის პროცესშია მოკლე ციკლის პროგრამების დანერგვის ხედვა, საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე და მიზანშეწონილად არ ჩათვალა ამ პროგრამების განხილვა და მათ დამატებაზე გადაწყვეტილების მიღება მარეგულირებელი ჩარჩოს ძალაში შესვლამდე. საბჭო სთხოვს დაწესებულების წარმომადგენლებს, გაებით მოეკიდონ ამ საკითხს, რამდენადაც ამ სახის პროგრამაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მომავალში შესაძლოა დაწესებულებას და მის სტუდენტებს შეექმნათ პრობლემა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია სწორედ მათი ინტერესებიდან გამომდინარე. საბჭომ ეს პოზიცია გააცნო დაწესებულებების წარმომადგენლებს: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს - დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,

ბეჭა ბუიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, დიმიტრი ლომიძე - ფაკულტეტის დეკანი; სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ წარმომადგენელს - ლაშა ხახუტაიშვილი - დირექტორი.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, „ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, საბჭოს მიერიჭა მანდატი, განიხილოს მოკლე ციკლის პროგრამების დამატების შესახებ საკითხი, თუმცა ეს პროგრამები თვისებრივად სხვა ტიპის პროგრამებია და კანონის თანახმად ამ პროგრამებზე ჩარიცხვა უნდა მოხდეს სხვაგვარად. საბჭომ რომც მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება ამ პროგრამების დამატების შესახებ, პროგრამაზე სტუდენტებს დაწესებულება ვერ მიიღებს ჩარიცხვის წესის არ არსებობის გამო.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა იკითხა, 19 მარტს საბჭომ ცვლილება შეიტანა არსებულ გადაწყვეტილებაში, პროფესიული პროგრამა შეიცვალა და გახდა მოკლე ციკლის პროგრამა, დაინტერესდა ამ პროგრამაზე როგორ მოქცეულიყვნენ. თავმჯდომარემ განუმარტა, რომ არსებულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა არსებით განხილვას არ მოიცავდა, როგორც ეს პროგრამის დამატების შესახებ საკითხის დამუშავების დროს ხდება.

გადაწყვეტილება ჩარჩო დოკუმენტში ცვლილების შესახებ მიიღო ცენტრმა და არა საბჭომ. საბჭომ განიხილა ცენტრის შუამდგომლობა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილებასთან დაკავშირებით საბჭოს მიერ უფლებამინიჭებული პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. საბჭოს არ არის უფლებამოსილი, განიხილოს ან ეჭვქვეშ დააყენოს ცენტრის გადაწყვეტილებები, შესაბამისად მან ცვლილება შეიტანა მანამდე მიღებულ

7


გადაწყვეტილებებში და დებულების თანახმად, შესაბამისობაში მოიყვანა კვალიფიკაციათა სახელწოდებები ჩარჩო დოკუმენტში შესულ ცვლილებასთან, თუმცა საბჭომ დაინახა რა რისკი პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვასა და მათ განხორციელებასთან დაკავშირებით, შეზღუდა მათზე ჩარიცხვა შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს ამოქმედებამდე, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესაბამისი ვადის განსაზღვრით. შესაბამისად, მოკლე ციკლის პროგრამებზე მიღება შეზღუდულია და ვერ მოხდება, სანამ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი არ შეიქმნება. შენიშნა, რომ ჯერ არ არის დადგენილი როგორ უნდა მოხდეს მოკლე ციკლის პროგრამების შემუშავება, განხორციელება და ა.შ. შესაძლოა მომავალში ავტორიზაციის სტანდარტშიც შევიდეს ცვლილება და სისტემამ რაიმე განსხვავებული წინაპირობა დააწესოს მოკლე ციკლის პროგრამებისთვის. კანონმა აღიარა ეს ახალი კვალიფიკაცია, თუმცა სხვა დანარჩენი აქტები და ზოგადად ხედვა, რამაც უნდა დაარეგულიროს ეს ახალი კვალიფიკაცია, შესაბამისი პროგრამის დამატება და განხორციელება, ბუნებაში ჯერ არ არსებობს.

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენელი დაინტერესდა, რამ გამოიწვია ეს ყოველივე, შენიშნა, რომ არ არის ლოგიკური ჯაჭვი ამ ცვლილებებისა კანონში თუ ჩარჩო დოკუმენტებში. პროცესი უნდა მომხდარიყო პირიქით. პროგრამები არ უნდა შეცვლილიყო, დარჩენილიყო თავისი სახელით. ზემოხსენებული წესის და სხვა რეგულაციის შემუშავების შემდეგ კი უნდა დაწყებულიყო ცვლილებები პროგრამებში. დაწესებულებამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეიტანა ცვლილებები პროგრამაში, სასწრაფოდ გადაარქვა პროფესიულ პროგრამას სახელი და დაერქვა მოკლე ციკლის პროგრამა და ეხლა ირკვევა, რომ არ არსებობს რეგულაციები მოკლე ციკლის პროგრამისათვის.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო მოკლებულია უფლებასა და შესაძლებლობას, უპასუხოს ამ შეკითხვას და აჯობებს, ამ კითხვებით დაწესებულებამ ცენტრს მიმართოს. შენიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო დამოუკიდებელი რგოლია, რომლის მანდატისაც არ წარმოადგენს ცენტრის და სამინისტროს პოლიტიკის განსაზღვრა და მისი შეფასება. საბჭოს მანდატია პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული, და ასევე დაწესებულების ავტორიზაციის მინიჭების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. შენიშნა, რომ თუ დაწესებულებას აქვს საბჭოს გადაწყვეტილების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული კითხვები, მზადაა გასცეს პასუხი. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საბჭო აცნობიერებს დაკისრებულ პასუხისმგებლობას და მომავალი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კოლეჯებისა და სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, თვლის, რომ უმჯობესია, დროებით დაელოდოს ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს ამოქმედებას და მხოლოდ ამის შემდეგ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც გამყარებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოკლე ციკლის პროგრამების საკითხის განხილვა გადაიდოს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ გამოცემული ბრძანების ძალაში შესვლამდე. შესაბამისად გადაიდო შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის და სსიპ - საზოგადოებრივი



კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ მოკლე ციკლის პროგრამების დამატების საკითხების განხილვა.

საბჭო ერთხმად დაეთანხმა შუამდგომლობას, კენჭისყრით შეცვალა დღის წესრიგი და ერთხმად დაამტკიცა სხდომის შეცვლილი დღის წესრიგი:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 სექტემბრის №159 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

6. ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №187 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №31 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

სსიპ - პროფესიული კოლეჯი „მოდუსისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 სექტემბრის №157 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №07 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

9. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიასათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №138 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა


10. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიასათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

11. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

12. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღაში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

13. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნების“, „ელექტროობის“, „სასტუმრო მომსახურების“, „სატყეო საქმისა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

14. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა



10



15. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
17. სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
18. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
19. ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბრის №38 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე თამარ ქიტიაშვილმა სთხოვა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს კახაბერ ერაძეს, ინფორმაცია მიეწოდებინა საბჭოსთვის იმ ცვლილებების შესახებ, რაც განხორციელდა კვალიფიკაციების კუთხით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან პრაქტიკულად შეწყდა სტუდენტთა მიღება ეგრეთწოდებულ საგნობრივ პროგრამებზე და მთელი სისტემა გადავიდა მოდულურ პროგრამებზე, რომელიც ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს ანუ საგანმანათლებლო სტანდარტებს. იმავდროულად, კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ამბობს, რომ თუ საგანმანათლებლო სტანდარტი შეიცვლება, დაწესებულება ვალდებულია პროგრამა შესაბამისობაში მოიყვანოს შეცვლილ საგანმანათლებლო სტანდარტთან და რადგანაც გარკვეული ინფორმაცია შეცვლილ პროგრამასთან დაკავშირებით არის ავტორიზაციის საბჭოს გადწყვეტილებაში, მაგალითად, როგორიც გახლავთ: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტების რაოდენობა და სხვა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია მიმართოს საბჭოს შუამდგომლობით და ცვლილებების შემთხვევაში მოითხოვოს საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა. ამასთან, დაწესებულებებს უფლება აქვთ გამოიყენონ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილება და შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად, ამ პროგრამის შეცვლამდე პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განახორციელონ შეცვლამდე არსებული საგანმანათლებლო პროგრამაც.

დღეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების უმეტესობა სწორედ ასეთი გახლავთ. გარდა ამისა, კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ უკვე ცნობს არა მესამე,

მეოთხე ან მეხუთე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციებს, არამედ საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც არის სიახლე პროფესიულ განათლების სისტემაში. ეს არის თავისი არსით განათლების რვა დონიდან მეხუთე დონეზე მდგარი საგანმანათლებლო პროგრამა, ის არ გახლავთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა მისი განხორციელების უფლება აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ისევე როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. თავისი არსით მოკლე ციკლის პროგრამა არის, ასე ვთქვათ, გარდამავალი ხიდი პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის და მისი სწავლის შედეგები პირდაპირ უკავშირდება შესაბამის საბაკალავრო ან ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების და შესაძლოა სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებსაც კი. ანუ, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები და კრედიტები ჩათვლადია, შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში. თუ კურსდამთავრებული, კვალიფიკაციის მფლობელი მოისურვებს და სწავლას გააგრძელებს იმავე მიმართულების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2018 წლის ბოლოს და 2019 დასაწყისში ცენტრის დირექტორის ბრძანებით შევიდა ცვლილებები ზოგიერთ ჩარჩო დოკუმენტში და მისანიჭებელი კვალიფიკაციები ჩამოყალიბდა ახალი კანონის შესაბამისად და მათ შორის, ზოგიერთ კვალიფიკაციას უკვე ენიჭება ასოცირებული ხარისხი, შესაბამისად, ესენი გახლავთ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები.

ყველა საკითხი, რაც წარმოდგენილია დღის წესრიგით შეეხება ჩარჩო დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების და, აქედან გამომდინარე, საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანას, რათა საგაზაფხულო მიღებისათვის დაწესებულებებს არ შეექმნათ მიღების გამოცხადების პრობლემა. მართალია კანონი „პროფესული განათლების შესახებ“ არ ამბობს, რა ვადაში უნდა მოიყვანოს დაწესებულებამ შესაბამისობაში პროგრამა ჩარჩო დოკუმენტთან, თუმცა, როცა ის აცხადებს მიღებას, სჩანს რომ პროგრამა უკვე წინააღმდეგობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, ამიტომ ახალი მიღების გამოცხადება არის ის მომენტი, როცა დაწესებულებას შესაბამისობაში უნდა ჰქონდეს მოყვანილი თავისი პროგრამა ჩარჩო დოკუმენტთან, რათა დაუდასტურდეს მას პროგრამაზე მიღების გამოცხადების უფლება და შესაძლებლობა, ამიტომაც ძალიან ბევრი საკითხი გადის დღეს სხდომაზე, ეს ის პროგრამებია რომელზედაც დაწესებულებები მიღებას აპირებენ საგაზაფხულოდ. თუმცა რჩება პროგრამები, რომლებიც ჯერ წარმოდგენილი არ არის მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ ისინი საგაზაფხულო მიღებას არ აპირებენ, ხოლო შემოდგომამდე აუცილებლად წარმოადგენენ ცვლილებებს აღნიშნულ პროგრამებში, რაც ეტაპობრივად გამოვა საბჭოზე განსახილველად.

1. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა


საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მომართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მის საგანმანათლებლო პროგრამებში - თმის მომსახურება; საოფისე საქმე; სასტუმრო მომსახურება; საფინანსო სერვისები; ინფორმაციის ტექნოლოგია; ელექტროობა; ბუღალტრული აღრიცხვა; ფერმერობა მეთევზეობაში; თევზის გადამუშავება; ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში - ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაც გამოწვეული იყო პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში) ცვლილებების შეტანის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან) შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულებით.

ცენტრმა უზრუნველყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესაბამისობის შემოწმება შესაბამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან). სამსახური ადასტურებს, რომ პროგრამები სრულად შესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საბჭოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი


13

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისამიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ელექტრიკოსი	მესამე	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040557	60	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
2	შემდუღებელი	მესამე	შემდუღებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041272	45	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
3	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	45	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
4	მრავის შემკეთებელი	მესამე	მრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040770	60	ქართული	20	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

5	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	მესამე	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112053	60	ქართული	15	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
6	სარესტორნო საქმის მწარმოებელი	მესამე	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112054	45	ქართული	15	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
7	ოფისის მენეჯერი (მდივან- რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან- რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
8	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
9	მოლარე (ბანკის და ა.შ)	მესამე	მოლარის (ბანკის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020152	60	ქართული	25	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო
სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენო ვანი სტუდენტებ ისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულე ნოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	91	106	ქართული	40	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	36	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
3	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	56	71	ქართული	13	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
							13	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი
4	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	40	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
5	ფერმერობა მეთევზეობაში (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	15	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
							15	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი
6	თევზის გადამუშავება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
7	ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში 010364	105	135	ქართული	30	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54
8	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (1)	მესამე საფეხური	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566	93	108	ქართული	13	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54



16

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;
- (2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ფაზისის" (ს/კ:215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

Nº	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა კართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია	61	76	ქართული	10	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54

17

			თმისა და სილამაზის მომსახურებაში0 080396				10	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი
2	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
3	სასტუმრო მომსახურება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში1 112069	86	116	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
4	საფინანსო სერვისები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	51	66	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
5	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №193 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
- სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
- სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ საბჭოს განუმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ მომართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მის საგანმანათლებლო პროგრამებში - ბუღალტრული აღრიცხვა; ინფორმაციის ტექნოლოგია; თმის სტილისტი; საავტომობილო გზების მშენებლობა; შედუღება; ხის მხატვრული დამუშავება; იატაკის და ფილის სამუშაოები; ვეტერინარია ცვლილებებით, რაც გამოწვეული იყო ორი მიზეზით:

1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში) ცვლილებების შეტანის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან) შესაბამისობის უზრუნველყოფის ვალდებულებით დაწესებულებამ შეცვალა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები : ბუღალტრული აღრიცხვა; ინფორმაციის ტექნოლოგია; საავტომობილო გზების მშენებლობა; შედუღება; ხის მხატვრული დამუშავება; იატაკის და ფილის სამუშაოები; ვეტერინარია.

2. თმის სტილისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დაწესებულებამ შეამცირა არჩევითი მოდულების რაოდენობა. შესაბამისად, შემცირდა პროგრამების კრედიტების რაოდენობა.

აღნიშნა, რომ ვეტერინარიის პროგრამა გახდა მოკლე ციკლის პროგრამა და ენიჭება ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ძალაში შევა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ მოკლე ცივლის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ გამოცემული ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ცენტრმა უზრუნველყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების შესაბამისობის შემოწმება შესაბამის შეცვლილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებთან (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან). სამსახური ადასტურებს, რომ პროგრამები სრულად შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით, შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საბჭოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №193 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის №193 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგაირად:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ოპიზარს (ს/კ:224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ცივლის საგანმანათლებლო პროგრამები

asj
asj

Nº	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებული პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენო ვანი სტუდენტებ ისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულე ნოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საავტომობილო გზების მშენებლობა (2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 040690	84	99	ქართული	24	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
2	ვებტექნოლოგიები (1)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში 040175	65	95	ქართული	30	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლის საგანმანათლებლო პროგრამას;
- (2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №30 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეიცვალოს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 სექტემბრის №30 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარს" (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებული პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	თმის სტილისტი (1)	მესამე საფეხური	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	72	87	ქართული	42	ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106
2	ელექტროობა (1)	მესამე საფეხური	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 040569	52	67	ქართული	30	ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106
3	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	91	106	ქართული	26	ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106


(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №21 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:



22

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეიცვალოს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 22 სექტემბრის №21 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ოპიზარს" (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებული პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეზუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	60	ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106
2	მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (2)	მეოთხე საფეხური	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეცხოველეობაში (მესაქონლეობაში) 010363	საბაზო განათლების საფუძველზე ჩარიცხულთა ათვის - 90 ათვის - 120 სრული ზოგადი განათლების საფუძველზე ჩარიცხულთა ათვის - 48 ათვის - 78	საბაზო განათლების საფუძველზე საფუძველზე ჩარიცხულთა ათვის - 120 სრული ზოგადი განათლების საფუძველზე საფუძველზე ჩარიცხულთა ათვის - 78	ქართული	24	ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106
3	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	60	ქ. ახალციხე, რუსთაველის № 106

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციფრის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში, კერძოდ,

ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარისთვის“ პროფესიული და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

ბ) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიერიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
---	----------------------	---------------------------------------	--	---	--	---------------	-----------------------------	--

1	შედუღება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	30	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
2	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 080393	89	104	ქართული	32	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
3	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკის და ფილის სამუშაოებში 040689	82	97	ქართული	45	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
4	ვეტერინარია (1)	მეხუთე დონე	ასოცირებული ხარისხი ვეტერინარიაში 010252	120	150	ქართული	45	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ორი მოდული, რომელთაგან ერთ-ერთი არის მეორე მოდულის წინაპირობა, მიმდინარეობდა პარალელურად, როგორც დაწესებულების მიერ თავდაპირველად წარმოდგენილ, ასევე დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში. მაგალითად, მოიყვანა შემთხვევა, მოდული „გაცნობითი პრაქტიკა“ არის „ნიადაგის დამუშავების საფუძვლების“ მოდულის წინაპირობა. სასწავლო გეგმით ეს ორი მოდული პარალელურად ხორციელდება. ასევე, წინაპირობით განსაზღვრულ მოდულთან ერთად მიმდინარეობს მოდული „მცენარისათვის საკვები ნივთიერების განსაზღვრა“.

თავმჯდომარე დაინტერესდა, სად ხორციელდება გაცნობითი პრაქტიკა, კოლეჯში თუ საწარმოში.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ძირითადი სასწავლო პროცესი მოდულის ფარგლებში მიმდინარეობს კოლეჯში და სტუდენტები მხოლოდ გაცნობის მიზნით მიჰყავთ პრაქტიკის ობიექტზე. შენიშნა, რომ გაცნობითი პრაქტიკა, განსხვავდება სხვა ჩარჩო დოკუმენტების

გაცნობითი პრაქტიკის მოდულებისაგან, იგი მოიცავს პირველად გადაუდებელ დახმარებას და უსაფრთხოების ნორმებს, რომელიც სხვა შემთხვევაში ცალკე მოდულად იყო შეტანილი ჩარჩო დოკუმენტებში. ორგანიზაციის სტრუქტურულ მოწყობას სტუდენტები ეცნობიან პრაქტიკის ობიექტზე.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რამ გამოიწვია სასწავლო გეგმაში წინაპირობების არ დაცვა, რაიმე არგუმენტი ხომ არ ჰქონდა კოლეჯს.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მან შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გაითვალისწინა წინაპირობები და შესაძლოა ტექნიკური ხარვეზის გამოა ეს უზუსტობა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, კოლეჯი მოახერხებდა თუ არა ამ ტექნიკური უზუსტობის აღმოფხვრას საბჭოს სხდომის დასრულებამდე, თუ კი საბჭო მათ ამ დროს მისცემდა. აღნიშნა, რომ დუალურ პროგრამას დიდი საორგანიზაციო შრომა და რესურსი სჭირდება და გულდასაწყვეტი იქნება თუ კოლეჯი უარს პროგრამის დამატებაზე ტექნიკური ხარვეზის გამო მიიღებს.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი მარტივად გამოსწორებადია.

შენიშნა, რომ კოლეჯი თანამშრომლობს ანგარიშგასაწევ ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს დაახლოებით 2 ჰა ფართობზე გაშენებული პლანტაციები, რომლის მსგავსი რეგიონში არ არის და ასეთ ორგანიზაციასთან ერთად იგეგმება პროგრამის დუალური მიღვომით განხორციელება.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ მოდულებში მითითებული სასწავლო ლიტერატურის და რესურსების ნაწილი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი იყო მატერიალურად, ნაწილი - ელექტრონულად, აქედან ნაწილი დაუმუშავებელი იყო. დაწესებულებამ 16 წიგნი ითხოვა გარკვეული პერიოდით, სანამ დაბეჭდავდნენ, ექსპერტებმა აღნიშნულის დამადასტურებელი თხოვების ხელშეკრულება ნახეს ადგილზე. ამ წიგნების გათვალისწინებითაც კი, ბიბლიოთეკაში სრულად არ მოიპოვებოდა ყველა სასწავლო რესურსი, რაც მითითებული იყო პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ყველა წიგნი, რომელიც ვერ იქნა მოძიებული ვიზიტის დროს, უკვე მოიძიეს პროგრამის ხელმძღვანელთან და ითხოვეს განმახორციელებლებისგან. შენიშნა, რომ ეს ლიტერატურა ძირითადად მათივე განმახორციელებლების ავტორობითაა. აღნიშნეს, რომ კოლეჯი სტამბას უკვეთავს ხოლმე წიგნების დაბეჭდვას, ხელშეკრულება ამ საკითხზე უკვე მზად იყო, უბრალოდ ვიზიტის პერიოდისთვის ვერ მოესწრო ამ წიგნების დაბეჭდვა. ამ ეტაპზე კი ყველა ეს წიგნი ელექტრონულად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და ამის შესახებ ინფორმაცია არგუმენტირებულ პოზიციას დაურთეს თან.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის დანართში წარმოდგენილ მასალებში, კიდევ არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, რაც

ექსპერტებმა ვიზიტის დროს ხარვეზად მიიჩნიეს.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მას თან ჰქონდა ამ წიგნების ელექტრონული ვერსიები მოტანილი.

კახაბერ ერამე დაინტერესდა ეს ელექტრონული ვერსია განსხვავდებოდა თუ არა არგუმენტირებულ პოზიციასთვის თანდართული მასალისაგან, რაიმე ხომ არ დაუმატებიათ მას შემდეგ.

დარეჯან ლოსაბერიძემ უპასუხა, რომ არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ კიდევ დაამატეს და სრულყვეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გაეროს პროექტის ფარგლებში ამ პროგრამის სასწავლო რესურსი მომზადებულია და დაწესებულებას შეეძლო მისი გამოყენება.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ მოდულებში სასწავლო რესურსად საშუალოდ 6-7 წიგნია მითითებული.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ამ დროისათვის უკვე ყველა წიგნი მოძიებულია და აქვთ ელექტრონულად ან/და მატერიალურად.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჩარჩო დოკუმენტის მომზადების დროს ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული სასაწავლო რესურსი ცენტრის და გაეროს მიერ. სასწავლო რესურსები შემუშავდა შვეიცარიული მიდგომის თანახმად. შვეიცარიის მიდგომით, 50 წიგნით კი არ ხდება სწავლა, არამედ შექმნილია კონკრეტული ერთი სასწავლო რესურსი, რომელიც ფარავს ყველა სწავლის შედეგს, ამიტომ სტუდენტისათვის ეს წიგნი სრულიად საკმარისია. თუმცა რადგან მოდულების შექმნისას ეს სასწავლო რესურსი არ არსებობდა, სავარაუდოდ ამიტომაც სარეკომენდაციოდ არაა მითითებული.

კახაბერ ერამემ აღნიშნა, რომ სასწავლო რესურსები სარეკომენდაციო ნაწილია და კოლეჯს შეუძლია შეცვალოს ჩამონათვალი.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯს განუმარტეს, რომ მათ შეეძლოთ მოდულში მითითებული სასწავლო რესურსების ჩამონათვალი შეცვალათ თუ არ ჰქონდათ 6-7 წიგნი, უმჯობესი იყო მიეთითებინათ კოლეჯში არსებული ლიტერატურა, რაც სწავლის შედეგებს დაფარავდა.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მაქსიმალურად შეეცადნენ სასწავლო რესურსები შეეცვით როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით და რამდენადაც გადამოწმეს, ყველა რესურსი მოძიებულია და აქვთ.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი ადვილად გადამოწმებადია. მიზანშეწონილად მიიჩნია განეხილათ სხვა პრობლემური საკითხები.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (eflow.emis.ge), დაწესებულებაში შემოსული

ა/ჭ
762

ნებისმიერი წერილობითი განცხადი უნდა მუშავდებოდეს ელექტრონულად და იტვირთებოდეს ელექტრონულ სისტემაში. მეხილეობა-მეჩაიეობის პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეების გადამოწმებისას გაირკვა, რომ განმახორციელებლების პირად საქმეში არსებული განცხადებები არ იყო დამუშავებული შესაბამისი წესით და არ იყო ატვირთული ელექტრონულ სისტემაში. აღნიშნული დაურეგისტრირებელი განცხადებების საფუძველზე მოხდა წინარე ხელშეკრულებების გაფორმება მოდულების განმახორციელებლებთან და მათი რეგისტრაცია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. აქედან გამომდინარე ექსპერტებმა 2.5 ქვესტანდარტი დარღვეულად მიიჩნიეს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაფიქსირებული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და უკვე გატარებულია დოკუმენტები დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში და წარმოადგინეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. შენიშნეს, რომ ხარვეზი გამოიწვია ნაჩქარევმა პროცესმა, და რომ თანამშრომელს გამორჩა განცხადებების გატარება ელექტრონულად.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს გარემოება დასკვნაში დაფიქსირდა როგორც ხარვეზი და არა როგორც რეკომენდაცია. შენიშნა, რომ შესაძლოა დაწესებულებამ ეს ხარვეზი ტექნიკურ ხარვეზად მიიჩნიოს, თუმცა ავტორიზაციის სტანდარტი მოიცავს ამ ქვესტანდარტსაც. დოკუმენტბრუნვა წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მიმართულებას და ის ცალსახად უნდა იყოს გამართული. აღნიშნა, რომ საჯარო კოლეჯს ამ საკითხში სწორედაც რომ დიდი გამოცდილება აქვს და კარგადაც უნდა ერკვეოდეს. კერძო კოლეჯებისგან განსხვავებით, მათ უფრო ინტენსიურად უწევთ საქმისწარმოება. დაინტერესდა, თუ როგორ მოაგვარა ეს ხარვეზი კოლეჯში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს ხარვეზი, რომელიც გულისხმობდა იმ ფაქტს, რომ განცხადებები არ იყო გატარებული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში. ეს განცხადებები გატარდა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში.

თამარ ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით, მათ კი დადგენილი აქვთ, რომ ხელშეკრულება ფორმდება განცხადების საფუძველზე. განცხადება გატარებულია ჟურნალში, თუმცა, არც შტამპდასმულია და არც ნუმერაცია არ აქვს მინიჭებული. პირადი საქმეების შემოწმებისას გამოიკვეთა ამ განცხადებების საკითხი რომელიც ირიბად დაუკავშირდა საქმისწარმოებას და აღმოჩნდა დარღვევა, რაც ვიზიტის ბოლომდე არ გასწორებულა. კოლეჯის გადასაწყვეტი იყო არსებულ განცხადებებს გაატარებდნენ, თუ ახალი განცხადებები შემოვიდოდა და ამის საფუძველზე ახალ ხელშეკრულებებს გააფორმებდნენ.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ სტანდარტი ინსტიტუციურია და არა პროგრამული, ეს უკავშირდება ზოგადად დაწესებულებას და არა ამ კონკრეტულ პროგრამას. შრომითი ხელშეკრულება დაიდო, განცხადება არის მხარის მიერ გამოხატული ნება, რომ სურს თანამშრომლობა. ხელშეკრულება ორმხრივი ნების გამოხატვაა, განცხადება რომც არ

51
ა. გ.
ვ. გ.

ყოფილიყო და ყოფილიყო მხოლოდ ხელშეკრულება, ორმხრივი ნება გამოხატულია. ხარვეზის გამოსწორება იქნებოდა, თუ აღარ არის სისტემაში გაუტარებელი განცხადება. საუბარი არა მხოლოდ იმ გაუტარებელ განცხადებაზე, მნიშვნელოვანია რა გააკეთა კოლეჯმა, რომ მომავალში განცხადება გარანტირებულად გატარდეს ელექტრონულ სისტემაში.

ანა საბახტარიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო ნაჩქარევ რეჟიმში მუშაობაზე, რამაც გამოიწვია აღნიშნული ხარვეზი. დაინტერესდა, რა დრო ჰქონდა კოლეჯს პროგრამის დასამატებლად რომ მომზადებულიყო.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ განაცხადი წარმოდგენილია 18 თებერვალს ხოლო ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 6-7 მარტს.

ანა საბახტრიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯი მზად უნდა დახვდეს ექსპერტთა ჯგუფს. კოლეჯს დამატებით ახალი პროგრამის განხორციელება სურს და ამისთვის კოლეჯმა მზაობა უნდა დაადასტუროს, შესაბამისად საორგანიზაციო საკითხები უკეთ მოაგვაროს.

ანა ცუცქირიძემ შენიშნა, რომ დაჩქარებულად მომზადება მოუწიათ, რადგან გაითვალისწინეს დამსაქმებლის თხოვნა, რომ განეხორციელებინათ ეს პროგრამა. ხაზი გაუსვა იმას, რომ მოტივირებულ დამსაქმებელთან თანამშრომლობენ და არაერთი შეხვედრა შედგა მათთან. მათ წარმომადგენლებს ამ დარგში აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია მინიჭებული და ზრუნავენ დარგის აღორმინებაზე. კოლეჯმა მათ მხარდასაჭრად მოკლე ვადაში შემოიტანა განაცხადი და ამიტომ დაფიქსირდა ხარვეზი, კოლეჯმა იცის რომ განცხადებები უნდა დარეგისტრირდეს, თუმცა გამორჩათ მხედველობიდან. შენიშნა, რომ ექსპერტებმა მათ დაკითხვა მოუწყეს, თუ რატომ სურდათ მაინც და მაინც ამ პროგრამის დამატება და ვისგან იყო ინიცირება. აღნიშნულ კითხვებს უპასუხა, რომ დამსაქმებლის ინტერესებს ეფუძნებოდნენ, ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტია სოფლის მეურნეობის განვითარება, და ა.შ. თუმცა იგივე კითხვები ექსპერტებმა დაუსვეს ხარისხის მართვის მენეჯერს, კარიერის მენეჯერს და სხვებს. შენიშნა, რომ მათ იგრძნეს ექსპერტთა არაკეთილგანწყობა, თითქოს კოლეჯმა ამ პროგრამის არჩევით რამე დააშავა.

კახაბერ ერაძემ ჰკითხა ანა ცუცქირიძეს, აღნიშნული თუ დააფიქსირეს ექსპერტთა შეფასების კითხვარში, რომლითაც დაწესებულება აფასებს ექსპერტებს.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ მათ აღნიშნეს შეფასებაში. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ სამსახური განიხილავს აღნიშნულ შეფასებას.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ჩვეულებრივი პროცესია. ივარაუდა, რომ ეს მცდელობა იყო ექსპერტთა ჯგუფისგან, ამოეცნო ამ პროგრამის დამატების მოტივაცია, თუ რამდენად ჰქონდათ გააზრებული დუალური პროგრამის თანამშრომლობის ფორმატი და ა.შ. ცხადია, საბჭო ვერ იმსჯელებს იმაზე, თუ რამდენად კეთილგანწყობილი იყო ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტე. შენიშნა, რომ საბჭო ორიენტირებულია თანამშრომლობაზე და გააჩნია მზაობა, მოისმინოს როგორც დაწესებულების, ასევე ექსპერტთა მოსაზრებები და მტკიცებულებები კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოში. დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ყველა



ხარვეზსა და რეკომენდაციაზე თავისი არგუმენტები და მოსაზრებები წარმოუდგინოს საბჭოს. საბჭო ისმენს და გადაწყვეტილებას იღებს პირველ რიგში სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად მოხდა დაწესებულებაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების შემოწმება. დაწესებულების ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო ბალონები განთავსებულია შესაბამის ადგილებზე, თუმცა აღმოჩნდა, ცეცხლმაქრების ნაწილი (27 ერთეული) დამუხტულია 2017 წელს, ხოლო ნაწილი (5 ერთეული) - 2018 წლის თებერვალში. შესაბამისად, ისინი ვადაგასულია და ექვემდებარება განახლებას. აქედან გამომდინარე, დარღვეულია ქვესტანდარტი.

თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენ ხანში ერთხელ ხდება ცეცხლმაქრების დატუმბვა. ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ დატუმბვა ხდება წელიწადში ერთხელ.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ ყველა ცეცხლმაქრი ხელახლა დატუმბულია უკვე და ხარვეზი აღმოფხვრილია. აღნიშნა, რომ კოლეჯი იმყოფება იჯარით აღებულ შენობაში. აღნიშნა, რომ შესაძლოა არ ამართლებდეს შექმნილი გარემოება დაფიქსირებული ხარვეზების დაშვებას, თუმცა საბჭოს გააცნო არსებული სიტუაცია. შენიშნა, რომ ფართის მეპატრონე თვეში სამჯერ უვარდება და სთხოვს, რომ დაცალონ შენობა. მას არაერთხელ განუმარტეს, რომ ჯერჯერობით კოლეჯი ვერსად გადავა. ასეთ პირობებში უწევთ კოლეჯის მართვა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის არ არის ცნობილი მიზეზი, თუ რატომ არის კოლეჯი იჯარით აღებულ ფართში და დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განმარტება ამის შესახებ.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ 2015 წელს ნორვეგის პროექტის ფარგლებში დაიგეგმა კოლეჯის კუთვნილი ფართის რეაბილიტაცია. სამი წლის მანძილზე მოხდა დაახლოებით 1200 კვ. მ. ფართის დემონტაჟი. კოლეჯმა მიმართა ზემდგომს, გადავიდა იჯარით, ალექსანდრე ჯევალავას პერიოდში პასუხად მიიღეს, რომ კერძო სექტორმა უნდა უზრუნველყოს რესტავრაცია, რადგანაც სახელმწიფოს ამის საშუალება არ აქვს. ბატონი მიხეილ ჩხენკელის დანიშვნის შემდეგ, კოლეჯმა მიმართა მას წერილით და ამ დროისათვის, კოლეჯის დარჩენილ ფართში, მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ასევე, დაგეგმილია შენობის აშენება და ეზოს ტერიტორიაზე სახელოსნოს მშენებლობა.

ანა საბაზტარიშვილი დაინტერესდა რა ტიპის ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული იმ ფართზე, სადაც იჯარით იმყოფებიან. არიან თუ არა სტუდენტები საფრთხის წინაშე, რომ დარჩენენ შენობის გარეშე, სანამ კოლეჯის კუთვნილ ტერიტორიაზე მშენებლობა და რეაბილიტაცია დასრულდება და გადავლენ.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯს მეიჯარე სთხოვდა სარგებლობის საფასურის გაზრდას, თუმცა განუმარტეს რომ სახელმწიფო იმაზე მეტს ვერ გადაიხდიდა, რაც ხელშეკრულებაში იყო მითითებული.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ვებგვერდზე არის სიახლეების ველი, თუმცა ბოლო ერთადერთი სიახლე თარიღდება მიმდინარე წლის 6 მარტით.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რა პერიოდზე იყო საუბარი.

ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ სიახლეების ველი საერთოდ ცარიელი იყო, 6 მარტის სიახლის გარდა სხვა სიახლე არ იყო განთავსებული.

ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ სერვერზე საკმარისი სივრცის არარსებობის გამო ვეღარ ახერხებენ სიახლეების დამატებას, რაც განაპირობებს საიტზე ატვირთული მასალებისა და ინფორმაციის დიდი ნაწილის გასუფთავებას ახალი ინფორმაციის განთავსების მიზნით. შესაბამისად, დაწესებულებამ დროულად უნდა აღმოფხრას აღნიშნული პრობლემა, უზრუნველყოს ვებგვერდის განახლება და სიახლეებისა და სტრანდარტით მოთხოვნილი დოკუმენტაციის განთავსება. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, 6 მარტამდე არსებული ინფორმაციის წაშლა მოუწიათ მოცულობის სიმცირის გამო.

თავმჯდომარე დაინტერესდა კოლეჯს კომუნიკაციის სხვა საშუალება ხომ არ აქვს.


კოლეჯის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათ აქვთ facebook-ის ოფიციალური გვერდი, რომელიც მუდმივად განახლებადია. შენიშნეს, რომ ვებ გვერდი ამ დროისთვის გასუფთავებულია და მიმდინარეობს ყველა სიახლის განთავსება. შენიშნეს, რომ სტრატეგული გეგმით გათვალისწინებული აქვთ ვებ გვერდის განახლება.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ამისთვის ბიუჯეტი თუ აქვთ მოთხოვნილი და დაგეგმილი.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ აქვთ ამისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი.

თამარ ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ ვებ გვერდზე პასუხისმგებელმა პირმა ზემოხსენებულ პრობლემის შესახებ ნოემბრის თვეში მიმართა დაწესებულების ხელმძღვანელობას. საინტერესოა, რატომ არ მოაწესრიგეს ნოემბრის თვიდან სიახლეების ველი, თუ ასე მარტივად შეიძლებოდა დაედოთ სიახლე.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მას სურდა სივრცის გაზრდა და ამაზე ჰქონდათ საუბარი. მოხდა ჰაკერული თავდასხმა და ყველაფერი წაიშალა. ამის შესახებ დაწერა მან სამსახურებრივი ბარათი, რაც ასევე იხილეს ექსპერტებმა. ამის შემდეგ შეიკრიბნენ ქსელების მართვის სპეციალისტი, სამეურნეო დარგის წარმომადგენელი და ქსელების სპეციალისტმა, რომელიც ასევე არის ცენტრის ექსპერტი, თქვა, რომ წარმოდგენილი ვერსია აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტს. აღნიშნა, რომ გემოვნებაზე არ დაობენ. უბრალოდ, იმ დროისათვის ჰაკერული თავდასხმა იყო და ამასთან დაკავშირებით ჰქონდა სპეციალისტს დაწერილი ზემოხსენებული სამსახურებრივი ბარათი.



თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მან მოინახულა დაწესებულების facebook გვერდი და დაადასტურა, რომ მასზე ბევრი სიახლეა განთავსებული. შენიშნა, რომ ქვესტანდარტი არცნობს facebook გვერდს, თუმცა ამ გვერდზეც რომ ვერ ენახა აქტივობები, იგულისხმებდა, რომ კოლეჯი არ მუშაობს საზოგადოებასთან. ეს რა თქმა უნდა არ ამართლებს ფაქტს, რომ ვებ გვერდი არის მოუწესრიგებელი.

თამარ ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯს „სვოტ“ ანალიზში სუსტ მხარედ აქვს წარმოჩენილი ის, რომ არ ხდება პროფესიული პროგრამების პოპულარიზაცია, რეკლამირება. შენიშნა, რომ თუ დაწესებულებას აქვს facebook გვერდი მას ამ გზითაც შეუძლია რეკლამირება.

ანა ცუცქირიძემ განმარტა, რომ ამ საკითხზე ვიზიტის დროსაც განემარტათ ექსპერტებს, რომ საუბარი იყო რისკზე, არა პროფესიული პროგრამის, არამედ პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ნაკლებობაზე. მოსახლეობის ნაწილს, რომელსაც ინტერნეტი არ აქვს, ნაკლებად აქვს შესაძლებლობა ეწვიოს ვებ გვერდსა თუ facebook გვერდს. რეგიონებში, სოფლებში კოლეჯმა ჩაატარა გასვლითი პროფორიენტაციის ღონისძიებები. შენიშნა, რომ ხალხმა არ იცოდა, რომ არსებობს პროფესიული განათლება და კოლეჯი.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ხარვეზი ფიქსირდება 3.2 ქვესტანდარტში.

შინაგანაწესით ირკვევა, რომ კოლეჯი, თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისას, უფლებამოსილია წინასახელშეკრულებლო პერიოდში კანდიდატს მოსთხოვოს ინფორმაციის წარდგენა სამუშაო გამოცდილების შესახებ, რომელიც ესაჭიროება დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. დაწესებულების რეგულაციის მიხედვით, პარტნიორი კომპანიის ინსტრუქტორს უნდა ქონდეს პროფესიის შესაბამისი განათლება და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში. თუმცა, შესაბამისი ცნობები ინსტრუქტორებს პირად საქმეებში არ ედოთ. შესაბამისად, ვერ დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მიერ.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ დაჩქარებული რეჟიმის გამო ეს ხარვეზი ნამდვილად დაფიქსირდა, შენიშნა, რომ მათ, როგორც მეწარმეებს 25 წლიანი სამუშაო გამოცდილებაც კი აქვთ და განახლებული აქვთ სამეწარმეო საქმიანობა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, კოლეჯი აქამდე თუ ახორციელებდა პროგრამას დუალური მიდგომით.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ აქამდე არ განუხორციელებიათ პროგრამა დუალური მიდგომით, პირველად დაიგეგმა დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელება.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა დაიმატა 7 მოდულური პროგრამა და არასოდეს უკმარისობის ან უსამართლობის განცდა არ ჰქონიათ.

ა. გ. 55

თავმჯდომარე დაინტერესდა, კოლეჯი იმას ხომ არ ფიქრობს, რომ დასკვნაში ხარვეზები მხოლოდ იმიტომ დაფიქსირდა, რომ ექსპერტები, მათი მოსაზრებით, კეთილგანწყობილები არ იყვნენ.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნული არ დაადასტურა. დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ თანხმდებიან იმას, რომ ეს ხარვეზები არსებობდა, კოლეჯი ამ ხარვეზებზე თვალს არ ხუჭავს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ კოლეჯი დუალური პროგრამის განსახორციელებლად და საწარმოსთან თანამშრომლობაში პირველ ნაბიჯებს დგამს, მიიჩნევენ, რომ იმედის მომცემი და საინტერესო დაწესებულებები შეარჩიეს, რომლებთან თანამშრომლობაც დუალურ განათლებასაც და აგრარულ მიმართულებასაც პოპულარიზაციას გაუწევს. თუმცა არ უარყოფენ, რომ ამ პროცესში ხარვეზები დაუშვეს. ეცადნენ მაქსიმალურად გაეთვალისწინებიათ შენიშვნები და თუ რაიმე ხარვეზია დარჩენილი, სასწავლო პროცესის დაწყებამდე სრულიად გამოასწორებენ.

თავმჯდომარემ დააზუსტა ფაქტი, რომ კოლეჯი თანამშრომლობს 5 ინდ.მეწარმესთან, და იქვე სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, საწარმოში არსებულ მდგომარეობაზე გაემახვილებინათ ყურადღება.

ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ ვიზიტი მათთან განხორციელდა როგორც მეხილეობის, ასევე მეჩაიერობის მიმართულებით. დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა. პრაქტიკის ობიექტთან ინტერვიუირების დროს გაირკვა, რომ ისინი ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაში. ეს მეურნეობა არის შედარებით ახალი, არის გამართვის პროცესში, მიმდინარეობს ტერიტორიისა და ჩაის ბუჩქების აღდგენითი სამუშაოები. სასწავლო პროგრამით კი გათვალისწინებულია სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევასაც როგორ შეძლებს დაწესებულება ამ მეურნეობაში, ექსპერტებისთვის ბოლომდე პასუხისმელია. მეურნეობა არის საკმაოდ მაღალმთიან ადგილას და ყველა სახის ტრანსპორტი ვერ მიდის ამ ადგილამდე. ექსპერტებმა სტუდენტის უსაფრთხოების საკითხიც დასვეს, როგორც მეურნეობის, ასევე კოლეჯის წარმომადგენლებთან. თუმცა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი არ მიუღიათ, თუ როგორ უზრუნველყოფდნენ ამ სტუდენტების გადაადგილებას. პროგრამის განმახორციელებლებმა ექსპერტებს უთხრეს, რომ წყალტუბოს რაიონში იყო ალტერნატიული ობიექტი, რომელიც შეიძლებოდა დამატებით განეხილათ პრაქტიკის განმახორციელებლად.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ ეს არ არის სწორი ინფორმაცია. წყალტუბოში არის მხოლოდ გადამამუშავებელი ქარხანა და არა ჩაის პლანტაცია. აღნიშნა, რომ ჩაის პლანტაცია ვერ იქნება ქალაქის ცენტრში და იქნება მაღალმთიან ადგილზე. შენიშნა, რომ როცა ექსპერტები სტუდენტის უსაფრთხოებაზე და გზის პრობლემურობაზე საუბრობდნენ, მაშინაც უთხრა, რომ არავინაა დაზღვეული, შესაძლოა ქუჩაში მიმავალსაც დაემართოს რაიმე, როგორ

ა. 56
გ. გ. გ.

შეიძლება ამაზე პასუხისმგებლობა აიღოს კოლეჯმა, თუმცა უსაფრთხოების ზომები დაცული უნდა იყოს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, მეურნეობამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი თუ მოძრაობს. ექსპერტებმა ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცეს.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს და შენიშნა, რომ ამ ობიექტზე იგეგმება არჩევითი ბლოკის მოდულის განხორციელება, რომელიც არ ხორციელდება პროგრამის დასაწყისში, ამ კომპანიის წარმომადგენელს აქვს დიდი ოდენობით დაფინანსება და იგეგმება ამ გზის რეაბილიტაცია და მოწესრიგება სავარაუდოდ მაისის თვეში, სანამ ამ მოდულის განხორციელება დაიწყება, გზა მოწესრიგებული იქნება. ისინი მოახდენენ სტუდენტების ტრანსპორტირებას სულორის ცენტრიდან ამ პლანტაციამდე.

თავმჯდომარე დაინტერესდა, ეს ვალდებულება რაიმე დოკუმენტის, ხელშეკრულების საფუძველზე აქვთ ნაკისრი, თუ ზეპირსიტყვიერი შეთანხმებით შემოიფარგლნენ.


ამ კითხვაზე დარეჯან ლოსაბერიძემ უპასუხა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობით იმიტომ აქვს მას დაფინანსება მოპოვებული, რომ ამასაც გეგმავს. აღნიშნა, რომ აქ უნდა განხორციელდეს მოდულების ფარგლებში, ჩაის პლანტაციის გასაშენებლად ტერიტორიის მოწყობა, თესლის დარგვა და სხვლა-ფორმირება, რაც მოიაზრებს არა უკვე არსებულ ჩაის პლანტაციას, არამედ უნდა იყოს ტერიტორია და მოეწყოს პლანტაცია.

თავმჯდომარემ შენიშნა, რომ სხვლა-ფორმირებასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ შენიშვნა. დაინტერესდა იმ დროისთვის, როცა ამ მოდულის განხორციელება უნდა დაიწყოს, ადგილზე იქ უკვე იქნება თუ არა გასასხლავი ჩაი.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ამ წლის მაისში არ უწევთ ამ მოდულის გავლა, არამედ მომდევნო წლის მაისში და ამ დროისათვის შესაძლებელი იქნება ამ სწავლის შედეგების მიღწევა.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ არსებობს შესაძლებლობა, პარალელურად, თავის დაზღვევის მიზნით, სხვა მეწარმეც მოიძებნოს, სადაც შეიძლება განხორციელდეს სწავლება.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ პრობლემურია 3.2 ქვესტანდარტი, რადგანაც ერთ-ერთი ინსტრუქტორი პირი, ვაშაყმაძე, დარეგისტრირებულია მეწარმედ 2017 წლიდან, დაწესებულებას კი რეგულაციაში უწერია, რომ ინსტრუქტორის პროფესიის შესაბამისი განათლება და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს.



ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ მაშინაც განუმარტა ექსპერტებს, რომ კანონი პროფესიული განათლების შესახებ ითვალისწინებს, რომ პრაქტიკის მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი რომელსაც აქვს სამწლიანი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. აღნიშნა, რომ არ იცის სადნახეს ექსპერტებმა ჩანაწერი 5 წელთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერი კანონში აღარა.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ეს ჩანაწერი მათი რეგულაციიდანაა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სადავოა, რა შეიძლება იყოს პრაქტიკული მუშაობის დამადასტურებლად მიჩნეული იმ შემთხვევაში, თუ პირი სოფლის მეურნეობას მისდევს. შესაძლოა 2017 წელს დარეგისტრირდა, თუმცა, მეწარმედ დარეგისტრირებამდე 10-15 წლიანი პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა. რთულია სოფლის მეურნეობაში პრაქტიკული გამოცდილების დადასტურება.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტები დაწესებულებას ამოწმებენ თავისივე რეგულაციის მიხედვით და რადგან დაწესებულებას ეს მოთხოვნები თავად აქვს დადგენილი, ვალდებულია შეასრულოს.

თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულებამ რომ შეცვალოს ეს რეგულაცია და ეს მოთხოვნა ამოიღოს, გამოსწორდება თუ არა ეს ხარვეზი და ამ შემთხვევაში, რატომ არ შეცვალა თავისივე რეგულაცია და ამოიღო ეს მოთხოვნა.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ მას ეს რეგულაცია არ ახსენდება.

ნინო ხაჩიძემ დასკვნის დანართიდან, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების / განხორციელების წესში, ამოიკითხა: პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში. შენიშნა, რომ ეს დოკუმენტი დამტკიცებულია მიმდინარე წლის თებერვალში.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ლოგიკურია, შინამეურნეობაში მუშაობის შესახებ ცნობა ვერ გაიცემა და ვერ ექნება პირს. ამ დროს ინსტრუქტორის მიერ იწერება განცხადება, სადაც ის აღწერს სამუშაო გამოცდილებას და ასაბუთებს, რომ მუშაობს ამა და ამ წლიდან და ფლობს მიწის ნაკვეთს, რომელსაც ამუშავებს და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ამ საკითხზე კოლეჯს არ უფიქრია და მსგავსი რაიმე დოკუმენტი ექსპერტებისთვის არ წარმოუდგენია.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მართლაც დაფიქსირდა ხარვეზები ვიზიტისას, თუმცა ეს იყო გამოწვეული გამოუცდელობით. შენიშნა, რომ თუკი საბჭო ნებას დართავდა ყველაფერს გამოასწორებდნენ და წარმოადგენდნენ.



58



თავმჯდომარე დაინტერესდა საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ქონდათ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ზემოხსენებულ სასწავლო გეგმაში არსებული უზუსტობები ენახათ, გამოესწორებინათ თუ ტექნიკური უზუსტობა იქნებოდა და ექსპერტებს შეეფასებინათ ხარვეზი გასწორდებოდა თუ არა ამით. ამისათვის საბჭომ საკითხის განხილვა გადადო გარკვეული დროით 18:05 სთ - დან და განაგრძო სხვა საკითხების განხილვა.

საბჭოს სხდომა დატოვა თავმჯდომარემ თამარ ქიტიაშვილმა. 18:05 სთ-დან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომას გაუძღვა დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი, ანასტასია ქიტიაშვილი.

იბერიის საკითხის განხილვას საბჭო დაუბრუნდა 19:30 სთ-ზე, დღის წესრიგის მე-15 საკითხის განხილვის შემდეგ.

დარეჯან ლოსაბერიძემ საბჭოს წარმოუდგინა განახლებული სასწავლო გეგმა, სადაც გაცნობითი პრაქტიკის მოდულის შემდეგ ხორციელდება მოდულები, რომლის წინაპირობა არის გაცნობითი პრაქტიკა. აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმაში აღარ ფიქსირდება წინაპირობების დარღვევა.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმა მტკიცდება პროგრამის პაკეტთან ერთად, ლოგიკურია სასწავლო გეგმაში ეს ცვლილებები უნდა შევიდეს შესაბამისი ბრძანებით.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ ცვლილების შესახებ ბრძანებას გამოსცემენ ქუთაისში დაბრუნებისთანავე.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რა ხარვეზები რჩება კოლეჯს ამ დროისათვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასწავლო გეგმა გასწორებულია, თუმცა არაა დამტკიცებული შესაბამისი აქტით.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის წარმოდგენილი ვერსია სრულად არ შეუმოწმებიათ ექსპერტებს და ვერ ადასტურებენ რამდენად სრულად გამოსწორებულია. შენიშნა, რომ ხარვეზად რჩება 3.2 ქვესტანდარტი კვალიფიკაციის დადასტურებასთან დაკავშირებული საკითხის გამო, ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტები ვერ შეაფასებენ 2.5 ქვესტანდარტს, რამდენადაც არ ფლობენ სრულყოფილად ინფორმაციას, რა პროცედურები გაიარა ხელახალმა განცხადებებმა და რა გაკეთდა.

59

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მან ორჯერ გაიარა სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული 31-ვე მოდული.

ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯს ასევე მისცეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები.

დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ პროგრამებში არსებული ტექნიკური უზუსტობები, რის თაობაზეც ექსპერტებმა რეკომენდაცია მისცეს კოლეჯს, უკვე გასწორებულია.

საბჭოს სხდომის მდივანმა აღნიშნა, რომ საბჭო ეყრდნობა ექსპერტთა დასკვნას, მათ არგუმენტებს.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა შეცვლილი სასწავლო გეგმა დეტალურად განეხილა საბჭოს და ექსპერტებს დეტალურად ჩაეხედათ და დაედასტურებინათ გეგმის სისწორე.

საბჭოს სხდომის მდივანმა აღნიშნა, რომ ამის შესაძლებლობას დრო არ აძლევდა მათ, ვინაიდან დღის წესრიგით რამდენიმე საკითხი იყო კიდევ განსახილველი, ამავდროულად აღნიშნა, რომ ამ სასწავლო გეგმის ცვლილება უნდა მოხდეს შესაბამისი ბრძანებით, გარდა ამისა, კოლეჯისთვის ისევ დარღვეულად რჩება 3.2 და 2.5 ქვესტანდარტები.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერიასთვის“ მეოთხე დონის მეხილეობა - მეჩაიეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1 (გიორგი ტრაპაიძე)
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212682051) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

60

Nº	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის
1	მეზილეობა - მეჩაიეობა (2)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში 010169	90	120

- (1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;
- (2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული ხარვეზების გათვალისწინებით, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ. კოლეჯს შეუძლია განაცხადი ამ პროგრამის დამატების თაობაზე თავიდან შემოიტანოს და გაითვალისწინოს ამ ვიზიტისას გამოვლენილი ხარვეზები და რეკომენდაციები. კოლეჯისთვის დუალური პროგრამა ახალი გამოწვევაა და შესაძლოა მეტი კონსულტაცია მიიღოს ცენტრისაგან.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა უფრო მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოასწორა და არცერთი ხარვეზი არ რჩება ისეთი, რომელსაც კოლეჯი ვერ გამოასწორებს.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო ვალდებულია გაითვალისწინოს ხარვეზები.

ანა საბახტარიშვილმა აღნიშნა, რომ განათლების უფლება არის კონსტიტუციით აღიარებული უფლება და არ ნიშნავს მხოლოდ განათლების ხელმისაწვდომობას, არამედ ეს არის უსაფრთხო, ხარისხიანი განათლების მიღების უფლება. აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია, დაწესებულების პოზიცია, რომ მისი პასუხისმგებლობა არ არის სტუდენტთა უსაფრთხო გადაადგილება. თუ დამსაქმებელი იღებს სავალი გზის შეკეთების ვალდებულებას და თუ დაწესებულება განმეორებით შემოიტანს განაცხადს, სავარაუდოდ იმ დროისთვის ეს საკითხიც მოგვარებული იქნება და საბჭო ნახავს ამის მტკიცებულებას ფოტომასალის სახით. ასევე აღნიშნა, რომ ამ დროისთვის დამსაქმებლის მეურნეობაშიც უკეთესი მდგომარეობა იქნება, რამდენადაც ამ ეტაპზე ამ მიმართულებითაც ჰქონდათ



61

ექსპერტებს კითხვის ნიშნები. აქვე შენიშნა, რომ საუბარი არ იყო მხოლოდ იმაზე, რომ რაღაც ხარვეზები გამოსწორდა თუ ვერა კონკრეტულ დროში, არამედ იმაზე, რომ უმჯობესი იყო კოლეჯი სრულყოფილად მოემზადოს, სანამ განაცხადს წარმოადგენს. კოლეჯი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სრულყოფილად მოახერხებს სტუდენტისათვის განათლების მაღალი ხარისხით მიწოდებას. კოლეჯმა თვითონვე არ უნდა შეიტანოს ეჭვი თავის დოკუმენტებში და საბჭოს სხდომაზე არ უნდა ასწორებდეს დოკუმენტაციას. შენიშნა, რომ შესაძლოა წარმოდგენილი ხარვეზები კოლეჯს დეტალად მიაჩნია, თუმცა ავტორიზაციის სტანდარტები ამ დეტალებს მოიცავს და საბჭოსთვის ყურადსაღებია ყოველი დეტალი, რამდენადაც გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯის უმთავრესი მოვალეობაა სტუდენტთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მაგრამ თუ გვინდა სოფლის მეურნეობის პროგრამები განვახორციელოთ, სადღაც ცუდი გზა შეგვხვდება, სადღაც აღმართი და სადღაც დაღმართი. ამ საკითხზე ხაზგასმა, რომ გზა იყო ცუდი და როგორ უზრუნველყოფს კოლეჯი უსაფრთხოებას, არ მიიჩნია სწორად, აღნიშნა, რომ კოლეჯი ქუთაისში მრავალ პროგრამას ახორციელებს, იცავენ სტუდენტთა უსაფრთხოებას თუმცა, დაზღვეული არავინ არ არის, რომ რაღაც მოხდეს. შენიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე აქვს ქვეყანას აქცენტი, ძალიან დასანანია მიტოვებული რაიონები და ოჯახები. შენიშნა, რომ იჩქარეს და სიჩქარეში მოხდა უზუსტობები. ასევე შენიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ეტლით მოსარგებლები პირი არ დარეგისტრირდება და ეს უდავოა.

ანა საბახტარიშვილმა აღნიშნა, რომ განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და ამ საკითხზე დავა სავსებით შესაძლებელია.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ განათლება უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მაგრამ ეტლით მოსარგებლე ვერ მიწვდება ბურქებს. რაც არ უნდა ეცადოს, ჩაის პლანტაციაში ფაქტობრივად შეუძლებელია, მაშინ სპეციალური ბილიკები უნდა გაიყვანო პლანტაციაში.

ანა საბახტარიშვილმა აღნიშნა, რომ შშმ პირს მრავალი ფუნქციის შესრულება შეუძლია და განათლების სისტემა მომართულია, რომ მათი დაშვებადობა იყოს.

ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მართლაც მნიშვნელოვანი პროგრამაა. ამ პროგრამის დამატებაზე უარის თქმა კოლეჯმა მიიღოს შესაძლებლობად, კოლეჯი როგორც ყოველთვის ახორციელებს ხარისხიან პროგრამებს, ასე ხარისხიანი დოკუმენტაცია წარმოადგინოს კოლეჯმა, რომ არ იყოს ხარვეზები.

ლელა მაისურაძემ აღნიშნა, რომ შემდგომში უმჯობესი იქნება პარტნიორმა საწარმომ კოლეჯს მხარი დაუჭიროს და საბჭოს სხდომაზეც კოლეჯთან ერთად იყოს წარმოდგენილი.



62



დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ მათ სურდათ სხდომაზე დასწრება, თუმცა ვერ შეძლეს.

ანა ცუცქირიძემ აღნიშნა, რომ დამსაქმებელი შეურაცხყოფილი დარჩა და ითხოვდა, რომ საბჭოს სხდომაზე წამოსულიყო, რადგან მის კომპანიისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ.

ანა ცუცქირიძე დაინტერესდა განაცხადის განხილვის საფასური კოლეჯს უკან დაუბრუნდებოდა თუ არა ამ შემთხვევაში. სამწუხაროა, თუ ეს თანხა კოლეჯს დაეკარგება.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ თანხა კოლეჯს უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ საქმისწარმოება წყდება ვიზიტამდე, რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა.

ანა ცუცქირიძე დაინტერესდა, თუ პროგრამა არ ითვალისწინებდა არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვას, რატომ მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა არასრულწლოვანი პირების ხელშეკრულებები, ასევე პანდუსები და ა.შ.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ დასკვნის ფორმა ითვალისწინებს ყველა სტანდარტის და ქვესტანდარტის შეფასებას და ექსპერტმა ყველა ქვესტანდარტი უნდა შეაფასოს. მოქმედი დაწესებულებების შემთხვევაში ექსპერტის მიერ მოწმდება, თუ როგორ ასრულებს დაწესებულება თავის მიერ დადგენილ რეგულაციას. ამდენად, სავსებით სწორი იყო ექსპერტთა მიდგომა.

63

11. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა საჭირო გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. შესაბამისად აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ზღვრული რაოდენობა გაიზრდებოდა. კახაბერ ერაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ. საბჭომ კახაბერ ერაძის შუამდგომლობა გაითვალისწინა.



64

**12. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღაში“ განხორციელებული
მონიტორინგის შედეგების განხილვა**

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ საბჭომ, 2018 წლის 20 დეკემბრის სხდომაზე, შუამდგომლობით მიმართა ცენტრს განხორციელებულიყო მონიტორინგი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“. საკითხი ეხებოდა პროგრამების ცვლილებას, პროგრამის ცვლილებისას კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევა დაიგეგმა საწარმოში და კოლეჯს არ ჰქონდა მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ეს ცვლილება ასახული. შესაბამისად, საბჭომ კოლეჯს მისცა რეკომენდაცია, შეექმნა ინსტიტუციური რეგულაცია, რომლითაც მსგავს ხარვეზებს გამორიცხავდა მომავალში და წარმოედგინა ეს რეგულაცია. ამის შესაბამისად კოლეჯმა წარმოადგინა რეგულაცია და წარმოდგენილი მასალა შეისწავლა სამსახურმა.

ნინო სტეფანიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ კოლეჯს რეკომენდაციების შესასრულებლად განსაზღვრული ჰქონდა 60 დღე. კოლეჯმა 11 მარტს წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების მტკიცებულებები. მათ შორის ერთ-ერთია დუალური მიდგომით პროგრამის შემუშავების და მასში ცვლილების შეტანის რეგულაცია, რაც დაწესებულებამ შეიმუშავა და წარმოადგინა. მშენებლობის წარმოება/თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის პროგრამის ფარგლებში, დამსაქმებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, კოლეჯმა შეიტანა ცვლილება, კოლეჯსა და პარტნიორ კომპანიას შორის პროგრამის სწავლის შედეგების ახალი გადანაწილების თაობაზე და წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულება ამ ცვლილების გათვალისწინებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.


65


13. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნების“, „ელექტროობის“, „სასტუმრო მომსახურების“, „სატყეო საქმისა“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქონის დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ლევან მადათოვამა და ზაირა ბერიძემ.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა წარმოდგენილ პროგრამებზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი წარმოადგინა ცენტრში. შენიშნა, რომ სამსახური დაინტერესდა, რა იყო ზღვრული რაოდენობის გაზრდის საფუძველი და აღნიშნა, რომ კოლეჯს სურს ფილიალის გახსნა დაბა ხულოში. ექსპერტებმა შეამოწმეს ხულოში ამ პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლევან მადათოვამა აღნიშნა, რომ 2019 წლის 12 და 13 მარტს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღაში“ ქ. ქობულეთში და დაბა ხულოში. ძირითადად ვიზიტის მიზანი იყო შემოწმებულიყო დაწესებულების მოქმედი ავტორიზებული 5 პროგრამის: „კულინარიის ხელოვნება“, „ელექტროობა“, „სასტუმრო მომსახურება“, „სატყეო საქმე“ და „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დაბა ხულოში განხორციელების შესაძლებლობა.

შენიშნა, რომ დაბა ხულოში არსებული შენობა შთამბეჭდავია. დაწესებულებას სკოლის კუთვნილი არსებული შენობა გადაეცა სახელმწიფოს მიერ სარგებლობის უფლებით. შენობა უკვე აღჭურვილია მომსახურების თანამედროვე სისტემებით. შენობა ადაპტირებულია, არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა შესაბამისობაშია მთავრობის დადგენილებასთან. კოლეჯს სურს თითოეული პროგრამისათვის განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გაზრდა 30-30 სტუდენტით. კოლეჯს აქვს ამ მოთხოვნილი დამატებითი ზღვრული რაოდენობის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა.

ექსპერტებმა შეამოწმეს ადამიანური რესურსის დოკუმენტაცია და დაადგინეს, რომ სრულად შესაბამისობაშია.

ერთადერთი პრობლემური საკითხი იყო ინტერნეტთან დაკავშირებით დაბა ხულოს ფილიალში. კოლეჯს ტენდერი ჰქონდა გამოცხადებული ვიზიტის პერიოდში. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში უზრუნველყო ხელშეკრულების გაფორმება გვერდზე

არსებულ სკოლასთან და ვიზიტის დროს ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტით. იმ შემთხვევაში თუ გამოცხადებული ტენდერი ჩაიშლებოდა სკოლა უზრუნველყოფდა ინტერნეტის მიწოდებას დაწესებულებისთვის.

კოლეჯის დირექტორმა, ლაშა ხახუტაიშვილმა აღნიშნა, რომ ტენდერის გამარჯვებული ამ დროისთვის უკვე გამოვლინდა და კოლეჯი უზრუნველყოფილი იქნება ინტერნეტით. კახაბერ ერაძე დაინტერესდა, კოლეჯი რატომ ითხოვს ზღვრული რაოდენობის გაზრდას ქ. ქობულეთში.

ზაირა ბერიძემ აღნიშნა, რომ ქ. ქობულეთში სურს კულინარიის ხელოვნების პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა. ამ დროისათვის ამ პროგრამას კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ დუალური მიდგომით, რომლებზეც ჰყავს ორი ჯგუფი. საგნობრივი პროგრამები ხორციელდება მიღევად რეჟიმში და არსებული მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კოლეჯს სურს ასევე განახორციელოს კულინარიის ხელოვნების მოდულური პროგრამა, ამ გარემოებების გათვალისწინებით სურს ზღვრული რაოდენობის გაზრდა.

საბჭოს წარუდგინეს, ვიზიტის ფარგლებში გადაღებული ფოტოსურათები.

თავმჯდომარე დაინტერესდა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0


თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 135-ით განსაზღვრის საკითხი


67


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „სატყეო საქმისა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 246954620) სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №50 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 135-ით, მათ შორის 105-ით მისამართზე: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154 და 30-ით მისამართზე: დაბა ხულო, მ. შავაძის №3, ხოლო ამავე გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120-ით, მისამართზე: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №154.

68

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო
სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

No	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე/ საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა არაქართულებობის განი სტუდენტებისათვის თვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულებობის განი სტუდენტებისათვის თვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
